


საპროლეტარული სპორტი და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროლეტარული კულტურის სახელმწიფო ორგანიზაციის ორგანო

23 დეკემბერი, სამშაბათი, 1986 წ. № 244 (9105) • ფასი 3 კპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან



სპორტულ სპორტში დამთავრდა საკავშირო თასის გათამაშება სპორტულ ცენტრში. წვეილთა შეჯიბრებაში ყველას აჯობეს თბილისელმა სპორტსმენებმა ლელა მამიაური და ნინო გელაშვილი (სპორტსმენი).



სურათზე: ლელა მამიაური (მარცხნივ) და ნინო გელაშვილი. ავთანდილ გურასაშვილის ფოტოები.

სპორტი

ივანე ლეონიძის ტურნი

დღეს სპორტის სასახლეში დაიწყო უმთავრესი ლიგის კალათბურთულ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტური. თბილისის გუნდში, როგორც ცნობილია, თბილისელი იასპარეზებს — ადგილობრივი „დინამო“, კიევის „სტროიტელი“, მინსკის რტი და მოსკოვის „დინამო“ ანალოგიური ტურები ჩატარდება დონეცკსა და რიგში.

Table with 5 columns: Team, W, L, D, Points. Lists teams like Dinamo, Stroitel, etc.


თბილისის ტურის მატჩები 26 დეკემბერს დამთავრდება. მანამდე კი ერთმანეთს შეხვდებიან: 23 დეკემბერი. „დინამო“ (მოსკოვი) — რტი (მინსკი) — 18 ს. „დინამო“ (თბილისი) — „სტროიტელი“ (კიევი) — 20 ს.

ნარკოტიკებთან გამკლავება

წლის საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი

ვასტანგ იაგორაშვილი, ივანე ლეონიძის ტურნი

თანამედროვე ხუთბილი ჩვენს რესპუბლიკაში არასოდეს ასულა ისეთ მაღალ საფეხურზე, როგორზეც ბოლო წლებში. არადა, სპორტის ეს სახეობა მასობრივობით ბოლო ადგილებზეა საქართველოში განვითარებულ სპორტის სახეობებს შორის. ჩვენი სპორტსმენების 35-



ვასტანგ იაგორაშვილი და ივანე ლეონიძის ტურში „ლელოს“ რედაქტორი

წლიანი აღმავლა ყველაზე თვალსაჩინო წარმატებით ვასტანგ იაგორაშვილი და ადგილობრივი — იგი დღეს ყველაზე პერსპექტიული ხუთბილია, ქვეყნისა და ოლიმპიური ნაკრებში გუნდის კანდიდატა ერთ-ერთი კანდიდატი. როგორ ემზადება ვასტანგ იაგორაშვილი მსოფლიო ოლიმპიური თამაშებისთვის? როგორც ვწერდით,

დარჩა ორი ტური

ბრიუსელის (ბელგია) დიდოსტატთა საერთაშორისო მატჩ-ტურნირის VIII ტურში ვარი კასპაროვმა დაამარცხა რობერტ ჰიუბნერი (გერმ.). ამ გამარჯვებით მსოფლიო ჩემპიონმა 6 ქულა მოაგროვა და პრაქტიკულად მიუწევს.

დომელი ვახტანგ მეტოქეთაძის — საქართველოს ყველაზე დამთავროს ორი დარჩენილი პარტიდან ერთ-ერთი, რომ პირველ პრინსს დაეუფლოს. ლიდერის უახლოეს მდევარს ნიჭულ შორტს (ინგლისი) 4 ქულა აქვს.

გუნდების შამადგენლობები

ვინ, რომელი კალათბურთელები დაიცივენ თბილისის ტურში მონაწილე გუნდების ღირსებას? „დინამო“ (მოსკოვი) № 4. ა. ლინდინი (დაიბადა 1959 წ. სიმაღლე — 183 სმ), № 5. ვ. სიზოვი (1965, 194), № 6. დ. სუბარევი (1960, 210), № 7. ი. კორნიშინი (1964, 181), № 8. ნ. ფესენკო (1956, 202), № 9. ი. შიშოვი (1957, 197), № 10. ვ. ჯიგლი (1952, 207), № 11. ი. კოლიჩევი (1964, 202), № 12. ა. ავაიევი (1955, 193), № 13. ე. ვადაშვილი (1968, 202), № 14. ა. ანტონიუცი (1964, 212); № 15. ს. კოჩერგინი (1964, 204). უფროსი მწვრთნელი — ა. კრავსონი, მწვრთნელი — ა. ბოლოშევი.

ივანე ლეონიძის ტურნი

სოფია. ბულგარეთის საუკეთესო სპორტსმენად გასული სეზონის შედეგების მიხედვით დასახელებულია ქალთა შორის მსოფლიო რეკორდსმენი 100 მეტრზე თარგზენში იორდანკა დონკოვა, ვაჟებში კი მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი ძალოსნობაში ასენ ზლათევი. რეფერენდუმი ბელგარეთის

პირადი სამაგიდონო პარტიდან: დაიბადა 1964 წელს, სიმაღლე — 184 სმ, წონა — 80 კგ, ფილტვების მოცულობა — 6500 კუბური

სპორტული ცენტრები

„ლელოში“ 1986 წლის 18 ოქტომბერს გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის („თვითღიზნებით“) პასუხად მცხეთის რაიონის განათლების განყოფილება გაცნობებს, რომ ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები და წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა (სპორტსკოლის უფროსი დირექტორი გ. ჯაფარიძე, სასწავლო ნაწილის გამგე ა. მამულაშვილი).

სპორტსკოლაში მოწვევის მიხედვით იყო დოკუმენტაცია, მწვრთნელთა უზრუნველყოფის ხარისხი არ იყო არასწორად ფორმირებული ბრძანების წიგნი, ბავშვებს ჭკუაში საექიმო შემოწმების გარეშე რიცხავდნენ, სკოლის ველოსპორტის სექციაში ერთად მეცადინეობდნენ სხვადასხვა ასაკის თანრიგის ბავშვები და ახალბედები. „ლელოს“ კრიტიკული გამოხატვის შემდეგ აღნიშნული ნაკლოვანებები გამოსწორდა.

1986 წლის 25 ნოემბერს განათლების საბჭომ შეკრება იმუშავა წერილში მოყვანილი ფაქტების შესახებ და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებად. მიღებული დადგენილება 1987 წლის იანვარში გადაამუშავდება.

ნაწილი ოფისიური, მცხეთის რაიონის სახლხო განათლების განყოფილების გამგე.


გაზეთმა „ნაროდენ სპორტმა“ და ქვეყნის სპორტულ ჟურნალისტთა კვიციამ მოაწყვეს.

მინსკი. დამთავრდა გერმანიის ქალთა ჩემპიონატი „ჩოგბურთში“ დასახელებული კორტებზე. 17 წლის შტეფი გრაფმა, რომელსაც მსოფლიო კლასიფიკაციაში დღესთვის მეორე ადგილი უკავია, ფინალში ჰეიკე ტომსი დაამარცხა — 6:2, 6:3 და მეორედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის სახელი.

ფედაკანის დაფუძნებული სკოლა

ბაშინი გაიმართა ბატუმზე ბტომის რესპუბლიკური ფედერაციის დამფუძნებელი სკოლა. ფედერაციის თავმჯდომარედ აირჩიეს საქართველოს დოსაადის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, ავიაციის გენერალი გაიოზ ვლადიმერის ძე ნანეიშვილი.

სპორტული ცენტრები




თბილისში გამართულ საქართველოს მოცურავეთა თასის გათამაშებაში რამდენიმე მოცურავეს გამოხატა დაგვიანება. მათ შორის იყო თბილისელი ანა ელიზბარაშვილი. მართალია, 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ანა II ადგილი დაიკავა, მაგრამ იგი შეჯიბრების სხვა მონაწილეებზე გაცილებით უმცროსი იყო და ამიტომ, ვფიქრობთ, ამ სპორტსმენს ზრდა-დაოსტატების კარგი პერსპექტივა აქვს.

„დინამო“ (თბილისი) № 4. გ. კაპუსტინი (1959, 186), № 5. თ. ბოროლაჩოვი (1959, 209), № 6. მ. კობეზაძე (1968, 193), № 7. გ. სანაძე (1964, 197), № 8. დ. ტალაბაძე (1967, 198), № 9. გ. დარსაძე (1962, 186), № 10. ა. ტიშინი (1960, 203), № 11. ზ. ინაური (1967, 206), № 12. ა. ფერიშვილი (1967, 203), № 13. დ. გორგოლაძე (1966, 199), № 14. ა. თაბუნია (1962, 203), № 15. მ. გაბრიჭიძე (1966, 201), № 16. ლ. გეგეშიძე (1969, 187). უფროსი მწვრთნელი — ლ. მოსეშვილი, მწვრთნელი — ვ. მხეიძე.

სპორტული ცენტრები

54-ე საკავშირო ჩემპიონატის თბილისის ტურის მთავარი მსაჯი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ი. დუდკინი (ტალინი), მთავარი მსაჯის მოადგილე — ასევე საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი რ. ხომერიკი (თბილისი), მთავარი მდივანი კი რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი მ. მოსულაშვილი (თბილისი). შეხვედრებს მოემსახურებენ შეხვედრის არბიტრები: საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები — ი. გოლინსკი (კალუგა) და ვ. სურჯასვი (ტალინი), საკავშირო კატეგორიის მსაჯები — რ. ხალაშვილი (ჩიხიკი) და ე. აბდულაევი (ბაქო), რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ფ. ფომინი (სმოლენსკი).



№ 7. ა. შატალა (1962, 190), № 8. ს. ვოროტნიკი (1961, 190), № 9. ა. პოლკოვნიკოვი (1961, 180); № 10. ვ. რიჟოვი (1954, 190), № 11. ი. სილვესტროვი (1962, 200); № 12. გ. რეცოვი (1968, 204), № 13. მ. კოტელოანკო (1959, 206), № 14. ნ. ბონდარენკო (1963, 208), № 15. ვ. ბომენკო (1957, 200). უფროსი მწვრთნელი — ბ. ვლოვიჩენკო, მწვრთნელი — დ. გუზიკი.

ინ. მ-2 ბ3.

ავთანდილ გურასაშვილის ფოტო.





წარმოგიდგინეთ კანდიდატებს

პანტანო იაკობაშვილი. ივანე ლეონიძე

დასასრული სსრ კავშირის ჩემპიონატის გუნდური პირველობის მე-სამე პრიზორი (1984), შვიდა-ლეული ძალების ჩემპიონი (1985), იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონი (1985), სსრ კავშირის თამაშების ჩემპიონი (1986), სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის მესამე პრიზორი (1986), მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე (1986), სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდის კანდიდატი.

ხუთციდის ცალკეულ სახეობებში საუკეთესო შედეგები და მათი შეფარდება მსოფლიო სტანდარტებთან: ტყვიის სროლა — 197 ქულა, მსოფლიოს სტანდარტი—197; ტურვა (300 მ) — 3.12 წ. (3.20); რბენა 4.000 მეტრზე—12,50 (12.30); ფარეობა — 900 ქულა (1000); ცხენოსნობა — 1040 (1070-1100). ტყვიის იაგორაშვილი — 5600 ქულა, მსოფლიო სტანდარტი — 5700. კოლხების სხვადასხვა იაკობაშვილის პირადი მონაწილეობის ივანე ლეონიძის ინფორმაციები: „შემოდინიშნულიდან გამომდინარე, მისი დადებითი გავლენით მსოფლიო საუკეთესო შედეგებს მიღებული ოლიმპიური თამაშებისთვის. ამას ძირითადი მიზეზი უნდა იყოს სპორტსმენის შესაძლებლობებისა და რეზერვების სრული გამოვლენით, წვრილის პროგრესული მეთოდების დანერგვით.“

ვასტანგ იაკობაშვილი უნიკალური სპორტსმენია. ვასტანგმა იმთავითვე მიიპყრო საეცოლის ტიტული განსაკუთრებული ყურადღება. მათ თანამედროვე ხუთციდის სულე დადგებოდა „იაგორაშვილის ეპოქა“. აქ დადგა კიდევ, რაზედაც ზემოხსენებული შედეგები მეტყველებს. ამ სპორტსმენში შესანიშნავად შეხამებული შრომის-მოყვარეობა, პასუხისმგებლობის ღრმა გრძნობა და პიროვნული ინტელექტი. ვასტანგმა, მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, თუ შეიძლება ასე ითქვას, შექმნა არა მარტო თანამედროვე ხუთციდის, არამედ საერთოდ თანამედროვე სპორტსმენის მოდელი. იგი სამედიცინო როგორც თანატოლებსთვის, ისე შედარებით უმცროსი თაობის ხუთციდელებისთვისაც, რო-

მლებიც დამაჯერებლად მიჰყვებიან ლიდერის კვალს. არაერთხელ დაგვიწერია და ახლაც ვაგვიმორებთ, ვასტანგის დაოცებებში, სანიშნულ სპორტსმენად და მოქალაქედ ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეაქვთ მის აღზრდას, რომელიც პირადი მავალით ზეგავლენა მთლიანობაში ასე მკაფიოდ ატყვია სპორტსმენის ცხოვრების წესს.

კოლხების სპარტაკიადის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის რეპორტის თემატიკაში: „ვასტანგ ჩვენს ინსტიტუტში სწავლობს. მასზე, როგორც სტუდენტზე და პიროვნებაზე, დიდ იმედებს ვაძლავებთ. ვასტანგს შეუძლია მომავალში დიდი სარგებლობა მოუტანოს ქართულ სპორტს. ასეთი ახალგაზრდები უნდა იყვნენ უმაღლესი სასწავლებლების მომავალი პედაგოგები, მეცნიერები, ასეთი პიროვნებები უნდა ქმნიდნენ სახელმძღვანელოებს, რაც ასე გვეკრძება.“

სასიამოვნო იყო ასეთი შეფასება. რა თქმა უნდა, ამგვარი რწმენა უსაფუძვლოდ არ გამოიქვამება. მწვრთნელის ინფორმაციაში ყურადღება მიიპყრო კარგად გააზრებული, კომპლექსური საეცოლის მომცველმა პერსპექტიულმა გემამ. არა, ამ გემამში მხოლოდ სპორტული ოსტატობის დონის ადასტურება არ არის ხაზგასმული. ლაპარაკი იყო სპორტთან სწავლის შეხამებაზე, იდეურ-აღზრდით მუშაობაზე, ზნეობრივ, ესთეტიკურ, კულტურულ, შრომით აღზრდაზე, მორალურ-ფსიქოლოგიურ მომზადებაზე, მედიკო-ბიოლოგიურ და პიედიკურ უზრუნველყოფაზე... რაც მთავარია, ეს მხოლოდ სურვილები არ არის, ასე დიდი ხანია მუშაობენ იაკობაშვილთან მისი მწვრთნელები და პირადად ივანე ლეონიძე.

კოლხეთზე გამოიქვამა რწმენა, რომ ვასტანგ იაკობაშვილი და მისი მწვრთნელი ყველაფერი გააკეთებენ მომავალი ოლიმპიური თამაშებისათვის მთელი მონდობებით მისამზადებლად. სპორტის მოყვარულები კი მოუთმინოდ დაელოდებიან თანამედროვე ხუთციდის საქართველოს პირველ წარმომადგენლის, ამ სახეობაში პირველი ქართველი ოლიმპიელის გამოსვლას მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენთა დიდ ფორუმში.

სარკილზე არიან მომავალი ჯარისკაცები


ჩატარდა საბურთალოს რაიონის პირად-გუნდური პირველობა ტყვიის სროლაში წვევამდელ და წვევამდელად ახალგაზრდებს შორის. შეჯიბრებაში საშუალო-სპეცი-ალური, ტექნიკური და უმაღლესი სასწავლებლების (18) გუნდების ასამდე ტყვიის მსროლელი მონაწილეობდა.

ასპარეზობა საუკეთესო სპორტსმენების გამოვლენას, შშრ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას და რაიონის ნაკრების დაკომპლექტებას ითვალისწინებდა.

გუნდური პირველი ადგილი არავის დაუთმო 161-ე საშუალო სკოლის ნაკრებმა, პირად პირველობაში კი ამავე სკოლის მოსწავლემ კახაბერ გულედანმა იმარჯვა — 93 ქულა. პროფესსწავლებლებმა და ტექნიკუმებს შორის პირველი ადგილი დაიკავა შრომის კოლხეთის ტექნიკუმის გუნდი. პირად პირველობაშიც ამ ტექნიკუმის წარმომადგენელმა გელა ქისიშვილმა გაიმარჯვა, თუმცა მოკრძალებული შედეგი აჩვენა (89 ქულა). უმაღლესი სასწავლებლებს შორის გამარჯვებული შეჯიბრებაში, რომელშიც სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდები მონაწილეობდნენ, პირად ჩათვალაში 99 ქულით რაიონის ჩემპიონი გახდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი დათო ნასიდაშვილი. რაიონის ჩემპიონობაც დათოს გუნდმა დაისაკუთრა. საერთო გუნდური გამარჯვება მოიპოვა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა (380 ქულა), მეორე ადგილზე გავიდა 161-ე საშუალო სკოლის გუნდი (370 ქულა), მესამე ადგილზე გასულმა კოლექტივმა — ცეკაშვილის კოლხეთის ტექნიკუმის ნაკრებმა სულ 313 ქულა მოაგროვა.

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობას თავი აარიდეს 102-ე და პირველმა ექსპერიმენტულმა საშუალო სკოლებმა.

იური გალდავა, სპორტის ოსტატი.



პრიზიორები

რომორც იცით, თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა ქაბუკ მარკოვეთა V საერთაშორისო ტურნირი. მთავარ პრიზორთა სასა წინით კატეგორიების მიხედვით: 48 კგ. 1. ნიკოლაე ალიუცა (რუმინეთი); 2. ემილიო პისიანი (კუბა); 3. ანდრეი ჩერნოვი, ოსტერ არიფ-ხოჯაევი; 51 კგ. 1. ანდრეი კორნევი, 2. სერგეი პერესლავეცი (ყველა — სსრკ); 3. როდრიგო ხორხე ფერმინი (კუბა); ლეონარდ დორაოტევი (რუმინეთი); 54 კგ. 1. მკრტირ კუოტვიანი, 2. ელდარ აბილოვი, 3. დისტანბეკ შაბიევი (სამივე — სსრკ); სორინ ტიმოტე (რუმინეთი); 57 კგ. 1. ჰამბუტ ილიასოვი, 2. ედილ იშეკენოვი, 3. არმენ ავეტისიანი, აბუსანდ ბაგაევი; 60 კგ. 1. კონსტანტინე ცხიუ (ყველა — სსრკ); 2. ნიკოლოზ ჯაჭვამე (საქართველო); 3. ალექსანდრე ბუსკუნოვი, მალიკ აბაევი (ორივე — სსრკ); 63,5 კგ. 1. თეიმურაზ ერნანდესი (კუბა); 2. სტანის-

ლაე მალიუტა, 3. ვასილი ნოვოტარსკი (ორივე — სსრკ); ბორის ბორისოვი (ბულგარეთი); 67 კგ. 1. იგორ გაბონი, 2. ვასტანგ ტოკტაროვი, 3. ვლადიმერ შებელი (ყველა — სსრკ); მხახი ნიკულესკუ (რუმინეთი); 71 კგ. 1. ალექსეი როტკოვი, 2. ადრეი რაბოვი, 3. ანდრეი კალინინი (ყველა — სსრკ); ფელცი ხორხე ერნანდესი (კუბა); 75 კგ. 1. ჯამბულად ყუფარაძე, 2. არტურ სალატულოანი (ორივე — საქართველო); 3. ვლადიმერ იუფეროვი (სსრკ); ილარიონ კომანი (რუმინეთი); 81 კგ. 1. დიმიტრი ელისევი, 2. ოლეგ ჩაიკინი, 3. აკოვ ვარდანიანი, ალბერტ კარპოვი; 91 კგ. 1. ვიჩანსლავ სედოვი, 2. ევეგენი ბელოუსოვი, 3. ანატოლი ვერეგინი (ყველა — სსრკ); ფუსკო ივანოვი (ბულგარეთი); 101 კგ. 1. ტიგრან ტერტერიანი (სსრკ); 2. არჩილ ბიბილოვი, 3. ლევან შარიქაძე (ორივე — საქართველო).

ინფორმაცია

სან-პეტროპოლი (ბრაზილია). ჩატარდა სტუდენტ ძიუდოსისტა მსოფლიო ჩემპიონატი. ცალკეულ წინით კატეგორიებში ფრანგებმა ხუთი ოქროს მედალი ხვდათ. სამი ოქროს მედალი სახრეთ კორეის მოჭიდავეებმა მოიპოვეს, ორ-ორი — ბრაზილიელებმა, იაპონელებმა, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დიუდოსისტებმა.

ბრადი (რუმინეთი). 18 წლის რუმინელმა ნოემი ლუნგმა სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა ქალთა კომპლექსურ ცურვაში. 200-მეტრიანი დისტანცია მან 1.15,27-ში დაფარა, 400 მეტრი კი 4.40,50-ში.

მაიამი. აქ დაიწყო ნორჩ ჩოგბურთელთა (16 წლამდე ასაკის) პანამერიკული საერთაშორისო ტურნირი „ორანჯ ბოული“. წარმატებით აიღო სტარტი უფელმა ანდრეი ჩერკასოვმა. პირველ წრეში მან

ამერიკელი დინ კონი დაამარცხა — 6:0, 6:3. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩერკასოვს ექვსისურამში პირველი ნომერი ჰქონდა მიუთუნებული.

ლინდონი. „უემბლის“ სპორტის სასახლეში დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი ტანვარჯიშში. ქალთა შორის გამარჯვებულენიგარდელმა ნატალია ფროლოვა მოიპოვა, ვაჟებში კი ყველას ლენინსკ-კუნეცკელმა ალექსი ტიხონიხმა აჯობა.

საერთაშორისო ფეხბურთი: უაღრესად, სპორტული

მე-18 ტურის ცენტრალური შეხვედრა გაიმართა ბარსელონაში ადგილობრივ „ესპანოლას“ და მადრიდის „ატლეტიკოს“ შორის. „ესპანოლის“ წლებიდან წარმატებებს უკავშირებენ ახალი მწვრთნელის საბირე კლემენტე კარვ მუშაობას. ეს სპეციალისტი გასულ სეზონში ბილბაოს „ატლეტიკს“ ედგა სათავეში. „ესპანოლას“ ამჟღავნებდა კარგად ითამაშა და გაიმარჯვა — 2:1. მასპინძელთა ორივე გოლი მიშელ პინედამ გაიტანა. ლიდერმა „ბარსელონამ“ ფრეს მადრიდის სანტანდერში „რასინგთან“ — 0:0. მადრიდის „რეალმა“ თავის მოედანზე დაამარცხა „მორსია“ — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი გაიტანა უგო სანჩესმა, რომელიც ახლა 17 გოლით სათავეში უდგას ბომბარდირთა სიაში. „მადრიდის“ და „ოსასუნას“ შეხვედრაში თავი გამოიჩინა „მადრიდის“ მეკარე მუროვარდო ზაიმი, რომელმაც ბუსტინგოლის მიერ დარტყმული პენალტი მოიგერია. ეს შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0. აღსანიშნავია, რომ ზაიმი წინა ტურშიც ვადაარჩინა თავისი გუნდი, როცა მოიგერია სან-სებასტიანის „რეალის“ ნახევარმცველის ლოპეს უფარტეს მიერ დარტყმული თერთმეტმეტრიანი.

მე-18 ტურის 9 შეხვედრაში მხოლოდ 13 ბურთი გავიდა. სხვა თამაშები ასეთი შედეგებით დამთავრდა:

ვრდა: „კადისი“ — „რეალი“ (სან-სებასტიანი) 1:0; „სებასტიანი“ — „ბეტისი“ 1:1; „სევილია“ — „სარაგოსა“ 3:0; „ატლეტიკი“ (ბილბაო) — „სპორტივო“ (ხიხონი) 0:0; „ვალადოლიდი“ — „ლას პალმასი“ 2:1.

მე-19 ტურში „ბარსელონამ“ ადვილად დაამარცხა „მალიორკა“ — 3:1; მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს ვიკტორმა, რობერტომ და მალიორკელმა ბონებმა საკუთარ კარში. გამარჯვება მოიპოვა ბარსელონის მეორე გუნდმაც — „ესპანოლას“, რომელმაც მურსიაში დაამარცხა ადგილობრივი კლუბი — 4:1.

მადრიდში „ატლეტიკო“ დამარცხდა აუტსაიდერთან სანტანდერის „რასინგთან“ — 0:1. ეს შედეგი მით უფრო მოულოდნელია, რომ სტუდენტული მოთამაშეთა ტრავმების გამო შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდნენ. „ლას პალმასსა“ და მადრიდის „რეალს“ შორის გაიმართა შეხვედრის ბედნიერ მასპინძელთა მიერ საკუთარ კარში გატანილმა ბურთმა გადაწყვიტა — 0:1.

სხვა შეხვედრები ასეთი ანგარიშით დამთავრდა: „რეალი“ (სან-სებასტიანი) — „სებასტიანი“ 4:1; „ოსასუნა“ — „კადისი“ (ბილბაო) 3:0; „სარაგოსა“ — „ატლეტიკი“ (ბილბაო) 0:0; „ბეტისი“ — „სევილია“ 0:0.

გათამაშების ცხრილი: „ბარსელონა“ 19 26:8 28 „რეალი“ (მადრი.) 19 82:15 27 „ესპანოლი“ 19 30:17 24 „ატლეტიკი“ (ბილ.) 19 26:19 28

საზრანგეთი

22-ე ტურში ლიდერებმა მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს. მარსელის „ოლიმპიკმა“ დაამარცხა პარიზის „რასინგი“ — 2:0 (ბურთები გაიტანეს ბონოვიემ და პაენმა), ბორდოს „ჟირონდამ“ კი „ნიცა“ — 4:1. ამ შეხვედრაში ორი ბურთი ახალგაზრდა ფრანკმა გაიტანა. „მონაკომ“ მოუგო „ოსერს“ 2:0. ჩემპიონმა „პარი სენ-ჟერმენმა“, რომელიც წლებიდან სეზონში წარმატებულად გამოდის, დაამარცხა „სენტ-ეტენი“ — 3:0 (ბოკანდე, ბაკინი და როშტი). სხვა შეხვედრების ანგარიშები: „ნანსი“ — „ნანტი“ 0:0; „ტულუზა“ — „ლავალი“ 2:0; „ლიონი“ — „ბრესტი“ — 2:1; „სლე ავრი“ — „მეცი“ — 2:2; „რენი“ — „ლიონი“ — 1:0; „სოშო“ — „ტულუზი“ 0:1.

23-ე ტურში ორივე ლიდერი სტუმრად გამოდიოდა და ორივემ ფრედ (0:0) დამთავრა შეხვედრა. მარსელის „ოლიმპიკი“ „ლავალით“ თამაშობდა, ხოლო „ჟირონდა“ — „ტულუზთან“. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა „ბრესტი“ და „პარი სენ-ჟერმენის“ შეხვედრა. მოულოდნელი იყო „მონაკოს“ მარცხი მე-18 ადგილობრივ კლუბთან — 1:4. „ნანტი“ დაამარცხა „რენი“ — 3:1. „ნანსისთან“ შეხვედრაში ფრანკისკოლის მიერ გატანილმა გოლმა გამარჯვება მოუტანა პარიზის „რასინგს“ — 1:0.

სხვა თამაშების შედეგები: „ოსერი“ — „ტულუზა“ 2:1; „ნიცა“ — „სოშო“ 1:0; „ლიონი“ — „სლე ავრი“ 3:2; „სენტ-ეტენი“ — „ლიონი“ 1:0.

ჩემპიონატი ზამთრის შესვენების

შემდეგ, 28 თებერვალს განახლდება. „ოლიმპიკი“ (მარსელი) 28 88:16 82 „ჟირონდა“ (ბორდო) 28 82:15 82 „მონაკო“ 28 26:21 28 „ნანტი“ 28 24:18 27

იტალია

მე-13 ტურის ყველაზე მოულოდნელი შედეგი აღინიშნა გენუაში, სადაც „სამპდორიამ“ დაამარცხა „იუვენტუსი“ — 4:1. „სამპდორიას“, რომელსაც იუგოსლავიელი მწვრთნელი ბოშოვი უდგას სათავეში, პირველი ტაიმის 27-ე წუთისთვის უკვე ორი ბურთი ჰქონდა გატანილი (ვიალი და მანინი), მართალია, „იუვენტუსის“ თავდამსხმელმა სერენამ შეამცირა სხვაობა ანგარიშში, მაგრამ ბრძელმა და ისევ ვიალიმ ყოველგვარი იმედი გადაუწურეს ჩემპიონს.

„რომა“ თავის მოედანზე დამარცხდა „მილანთან“ 1:2. გადაწყვეტილი გოლი 53-ე წუთზე ვირილი-სმა გაიტანა. „ნაპოლიმ“ კაფარეის ორი გოლის მეშვეობით დაამარცხა „რომი“ — 2:1. „ბრეშიასა“ და „ელასის“ შეხვედრაში ანგარიში სტუმრებმა გასწესეს (ელკაიერი), მაგრამ ბრანდს ავადგინა წინასწარობა — 1:1. „ინტერმა“ დაამარცხა „ასკოლი“ 3:0.

სხვა შეხვედრები: „ემპოლი“ — „უდინეზე“ 0:0; „ატალანტა“ — „აველინო“ 1:1; „ტორინო“ — „ფიორენტინა“ 2:1.

„ნაპოლი“ 18 19:7 20 „ინტერი“ 18 17:5 18 „მილანი“ 18 14:7 16 „იუვენტუსი“ 18 18:12 16 „ელასი“ (ვერონა) 18 14:11 16

„სპორტლოტო“

გაუზიხვის მსოფლიო გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი, 51-ე ტურაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 7 (კლასიკური ქილაობა), 8 (ტრეპე ველსობოლა), 18 (მლოსობა), 25 (საცელო სპორტი), 27 (მშვილდობა), 29 (სასტენდო სროლა). „სპორტლოტო 5 86“-დან: 3 (ბობსლეი), 10 (წყალბურთი), 17 (საცივლო სპორტი), 18 (მძლეობობა), 34 (ბალახის ჰოკეი).

ეკრანე...

ცენტრალური ტელევიზია. 28 დეკემბერი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); საკალაო სკოლა — 12.05 (2); რიტმული ტანვარჯიში — 20.30 (2); საკალათბურთო მიმოხილვა — 0.15 (1).

საპარტეველოს ტელევიზია. 28 დეკემბერი. სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „სტროიტელი“ (ყიევი) — 28.40; საკალათბურთო მიმოხილვა — 0.15.

რედაქტორის მოადგილე თ. გაჩეჩილაძე